საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/03/2025

MES 7 25 0000531349

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) „სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 -ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბერის №1503076 ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) "სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2 2025 წლის 28 თებერვლის სხდომაზე საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) 1.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია (1. რეკომენდებულია, გადაიხედოს კვლევის მეთოდების სილაბუსი და ძირითადი ვარიანტების მიღმა დაემატოს უფრო თანამედროვე ინსტრუმენტები და მეთოდოლოგიები. ამგვარი გაუმჯობესება უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად მომზადებას რთული მონაცემების ანალიზის განსახორციელებლად და თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.) გადაიტანა რჩევაში, თუმცა კომპონენტის შეფასება არ შეცვლილა.

ბ) 1.5. კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები (1. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსის კომპონენტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები, იმისათვის, რომ სათანადოდ შეესაბამებოდეს კურსის კრედიტების საერთო რაოდენობას; 2. რეკომენდებულია, კურსის სილაბუსებში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები შესაბამისი ქულების მითითებით' 3. რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის სავალდებულო კურსები შესაბამისი პროგრამული პაკეტებით, რაც გააუმჯობესებს სტუდენტების ციფრულ და ანალიტიკურ უნარებს) განსაზღვრა რჩევებად და 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) ,,სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 5 მარტის სხდომის №240524 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში აისახოს კურსების დროში გაწერილი თანმიმდევრობა შესაბამისი წინაპირობების და სემესტრების მითითებით.
- რეკომენდებულია, განახლდეს სავალდებულო კურსების წინაპირობები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიტანოს ცვლილებები წესდებაში, იმისათვის, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს მოეთხოვებოდეთ როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ასევე სულ მცირე მაგისტრის ხარისხი.

რჩევები:

- სასურველია გადაიხედოს კვლევის მეთოდების სილაბუსი და ძირითადი ვარიანტების მიღმა დაემატოს უფრო თანამედროვე ინსტრუმენტები და მეთოდოლოგიები. ამგვარი

გაუმჯობესება უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად მომზადებას რთული მონაცემების ანალიზის განსახორციელებლად და თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

- სასურველია გადაიხედოს კურსის კომპონენტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები, იმისათვის, რომ სათანადოდ შეესაბამებოდეს კურსის კრედიტების საერთო რაოდენობას;
- სასურველია კურსის სილაბუსებში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები შესაბამისი ქულების მითითებით;
- სასურველია განახლდეს პროგრამის სავალდებულო კურსები შესაბამისი პროგრამული პაკეტებით, რაც გაუმჯობესებს სტუდენტების ციფრულ და ანალიტიკურ უნარებს;
- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის ტერმინოლოგია და ისეთი ტერმინები როგორიცაა "დაბალი", "საშუალო" და "მაღალი" დონეები შეიცვალოს "გაცნობის", "გაღრმავების" და "განმტკიცების" დონეებით, რათა ზუსტად აისახოს სწავლის შედეგების პროგრესია და თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო არასწორი ინტერპრეტაცია.
- სასურველია, განახლდეს კურსების სავალდებულო ლიტერატურა, რათა გამოყენებული იყოს წიგნების უახლესი გამოცემები და ინფორმაცია, რაც სტუდენტებს თანამედროვე სასწავლო მასალებით უზრუნველყოფს.
- სასურველია, აღიწეროს უნივერსიტეტის მიერ ინგლისური ენის დონის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატი არ ფლობს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ან მიეთითოს, როდის იქნება ხელმისაწვდომი აღნიშნული კრიტერიუმები.
- სასურველია, აღიწეროს ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი - ჩარიცხვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას თითოეული წინაპირობის ხვედრითი წონა.
- სასურველია, დაკონკრეტდეს, თუ რა სახის სამუშაო გამოცდილებაა მოთხოვნილი აღნიშნულ პროგრამაზე განაცხადის შეტანისას.
- სასურველია, სტუდენტებისთვის გაიზარდოს კოლაბორაციულ და ინტერდისციპლინურ სამეცნიერო და პრაქტიკულ პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობები, რათა გაუმჯობესდეს მათი პრაქტიკული ცოდნის ამოყენება და კვლევითი უნარები.
- სასურველია ქართველ და ევროპელ ხელმძღვანელებს შორის მეტი თანამშრომლობის წახალისება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კვლევითი შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
- სასურველია, შემუშავდეს მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურა სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასებას თანმიმდევრული და სამართლიანი კრიტერიუმების საფუძველზე.
- ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა არის ერთობლივი ძალისხმევა, სასურველია, რომ გრენობლის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ ერთიანი და დამტკიცებული თვითშეფასების ჯგუფის განუყოფელი წევრები.
- სასურველია კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარე შეფასების სპეციალური ფორმატი, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და ყოვლისმომცველ გარე ხარისხის უზრუნველყოფას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 28 თებერვალს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული ფორმა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული მენეჯმენტი და ლიდერობა ცვლილების გზით
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ერთობლივი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	● ერთობლივი პროგრამის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 6.5 ქულა IELTS-ში ან 90 ქულა TOEFL-ში, ან მათი ეკვივალენტი, ან უნდა გაიარონ ონლაინ ინტერვიუ. ● კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სრულ განაკვეთზე სამწლიანი დასაქმების პროფესიული გამოცდილება
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/ Master of Business Administration 2. გრენობლის მენეჯმენტის სკოლა: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სტრატეგიულ მენეჯმენტში და ლიდერობაში ცვლილების გზით/ Master of Business Administration in Strategic Management and Leadership through Change
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28/02/2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	28/02/2032